# ხელშეკრულება 14

ქ.ლაგოდეხი 01.02.2011 წ

## მუხლი 1. მხარეები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი გოზალიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" ერთის მხრივ და მეორეს მხრივ კახეთის საინფორმაციო ცენტრი (გამომცემელ: შ.პ.ს. ცენტრი „იმედი") მისი მმართველი რედაქტორის გელა მთივლიშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. კახეთის საინფორმაციო ცენტრი (შ.პ.ს. ცენტრი „იმედი") იღებს ვალდებულებას დამკვეთს დღის გამოშვებები მიაწოდოს ონლაინ რეჟიმში, ინტერნეტის საშუალებით, შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: lag_gamgeoba@yahoo.com, gogoladze.marina@gmail.com ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა.

დღის გამოშვება მოიცავს:

- კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებულ ახალ ამბებს, ანონსებს, ფოტოებს, აუდიო და ვიდეო მასალების ტექსტურ ვერსიებს და ვაბ-გვერდის მისამართებს, სადაც სრულადაა გაშუქებული ესა ტუ ის მასალა;
- მასალებს კახეთში მიმდინარე ახალი ამბების და მოვლენების შესახებ, რომლებსაც საქართველოში არსებული სხვადასხვა მედია-საშუალებები ამზადებენ;
- მასალებს კახეთში მიმდინარე ახალი ამბების და მოვლენების შესახებ, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სხვადასხვა მედია-საშუალებები;
- მასალებს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომელიც აქტუალურია საქართველოს მოსახლეობისთვის, მათ შორის კახეთში მცხოვრები მოქალაქეებისთვის;
- ინფორმაციას საკანონმდებლო სიახლეების, კონკურსების, ტრენინგების, სასწავლო პროგრამების, საინვესტიციო და ბიზნეს პროექტების შესახებ.

2.2. კახეთის საინფორმაციო ცენტრი შემსყიდველს გაუწევს მომსახურებას და მის მიერ ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ ანონსს მიაწვდის სხვადასხვა მედია-საშუალებებს.

## მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

ა) ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება ლარებში და ყოველთვიურად შეადგენს 120 ლარს.

ბ) ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს - 1320 /ერთიათას სამას ოცი/ ლარს.

გ) თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „მიმწოდებელს" უფლება აქვს „შემსყიველს" შეუჩეროს ინფორმაციების მიწოდება დავალიანების სრულ დაფარვამდე.

## მუხლი 4. მხარეთა მოვალეობები

1. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ შემსრულებელი ირღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) გადაიხადოს შესრულებული მომსახურეობის ღირებულება, რომელიც განსაზღვრულის ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებლის ნებართვის გარეშე არ გაავრცელოს მიღებული ინფორმაცია, ელექტრონული ფოსტის მისამართი, პაროლი, ან ვებ-გვერდზე შესასვლელი კოდი გადასცეს სხვას.

3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ დამკვეთი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

ბ) „შემსყიდველს“ ინფორმაცია მიაწოდოს ინტერნეტის საშუალებით, შეთანხმების დროს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, ონ-ლაინ რეჟიმში ან მისცეს ვებ-გვერდით სარგებლობისათვის სპეციალური კოდი.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე. სხვა მედია საშუალებებიდან მიღებული ინფორმაციის სიზუსტეზე შინაარსობრივ წუნსა და სტილზე შემსრულებელი პასუხს არ აგებს.

## მუხლი 5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეების მიერ შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე;

2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში, რის შესახებაც წერილობით უნდა ეცნობოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს.

## მუხლი 6. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, მათ შორის მიწისძვრით, წყალდიდობით, ხანძრით, ეპიდემიით და სხვა;

2. დაუძლეველ ძალად ითვლება საგანგებო გარემოება, რომელიც შეიქმნა მხარეთა ნების გარეშე და რომლის მოქმედებასაც მათ არ შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შექმნილ სიტუაციაში მათ მიიღეს და გაატარეს ყველა ღონისძიება, რისი გათვალისწინებაც კი შესაძლებელი იყო.

## მუხლი 7. დავათა განხილვა

1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ურთიერთშეთანხმების გზით მოაგვარონ ყოველგვარი სადაო საკითხი წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან.

2. თუ დავის გადაჭრა არ მოხერხდა ურთიერთშეთანხმების გზით დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

**მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და გრძელდება 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

**მუხლი 9. ხელშეკრულების სხვა პირობები**

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
2. ისეთ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები**

**შემსყიდველი:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 233144987
ლაგოდეხი, ქიზიყის ქ. №25
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგ.№ GE37LBO120118067888000

გიორგი გოზალიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

**მიმწოდებელი:**

შ.პ.ს. ცენტრი „იმედი" /კახეთის
საინფორმაციო ცენტრი
მის: ქ.გურჯაანი, ი.ნონეშვილის 14, III
სართ. ტელ: 8(253)2-65-75
ს.კ. 227746259, ა/ა 34087373
ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22

გელა მთივლიშვილი

მმართველი რედაქტორი: